№ 228
პარასკევი, 28 ოქტომბერი 1894

1877—1894

№ 228
პარასკევი, 28 ოქტომბერი 1894

# ივერია

გაზეთი ღ..ს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

წარმომადგენელნი ტფილისის მწერლობისა

გადაიხდიან პანაშვიდს ღვთის მიერ განსვენებულის

**ი მ პ ე რ ა ტ ო რ ი ს**

## ალექსანდრე ალექსანდრეს ძისათვის

დღეს, 28 ოკტომბერს, მეცხრე დღეს მიცვალ. ბისას საყვარელის **მონარქისა**, 1 საათზე, ტფილისის ქ.ლაქის საბჭოს დარბაზში.

## დეპეშა

26 ოქტომბერი

**ლივადია.** დღეს, 25 ოქტომბერს, ..ამთი ნეტარ ხსენებულის ხელმწიფე ..მპერატორისა 6 საათსა და 40 წუთ..ედ კუბოში ჩაასვენეს. პატარა სა..ახლოდგან ხელმწიფე იმპერატორის კუბო გამოასვენეს: მემკვიდრე ცესა..ევიჩმა, უელის პრინცმა, მეფის ძემ ..იკოლოოზმა, დიდმა მთავრებმა: მიხეილ, ვლადიმირ, ალექსი, სერგი და პავლე ალექსანდრეს ძეთა, მიხეილ ..იკოლოოზის ძემ, ნიკოლოოზ, გიორგი და ალექსანდრე მიხეილის ძეთა და მიასვენეს ლივადიის დიდს ეკლესიაში. მისს უდიდებულესობას ლეიბგვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკის მუნდირი ემოსა, ისეთი მუნდირი, როგორის მუნდირითაც კუბოშია ჩასვენებული განსვენებული იმპერატორი. მათ უმაღლესობათა გარდა, კუბოს ეწეოდნენ: საიმპერატორო სასახლის მინისტრი გრაფი. ვარანცოვ-დაშკოვი, კომანდირი იმპერატორის უმთავრესის სადგომისა გენერალ-ადიუტანტი რიხტერი, გენერალ-ადიუტანტი ჩერევინი, თავადი ბარიატინსკი და უგანათლებულესი თავადი გალიცინი. საკაცეზედ გადასატანად კუბო ჩამოართვეს მის უდიდებულესობის „კანვოის“ მოხელეთ. კუბოს მისდევდნენ ხელმწიფე იმპერატრიცა, პრინცესა უელსისა, უმაღლესად სახელწოდებული სასძლო, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული, დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული, საბერძნეთის დედოფალი, კობურგ-გოტელის დუკის მეუღლე, დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული, ელისაბედ თეოდორეს ასული, ალექსანდრა იოსების ასული, მისი უდიდებულესობის ფრეილინები და სევე-ქალნი. სამგლოვიარო კორტეჟი ლივადიის ბაღზედ მიდიოდა. გზის ორივე მხარეს დარგული იყო ბზა, დაფნის ხეები, ალიანდრი და განათებული იყო ლამპრებითა, რომლებიც მის უდიდებულესობის „კონვოის“ მოხელეთ ეჭირათ. ლივადიის დიდის ეკლესიის პირდაპირ დარაჯი დაყენებული იყო მეფის როტიდგან, მე 16 მსროლელის პოლკისა, დროშით და სამხედრო მუსიკით. ხალხი კედელსავით შემორტყმოდა მოედანს. ეკლესიის უკან გაისმის სამგლოვიარო ზარის რეკა. ყველამ ქუდები მოიხადეს. ბინდი იყო და სანთლების შუქი გამოკრთოდა. გრძელი წყობა სამღვდელოებისა, რომელიც ვერცხლის სამოსელით იყო მოსილი, ეკლესიიდგან გამოვიდა ნაშთის დასახვედრად. შორიდგან გალობა შემოისმა. მალე მოწესრიგე თავადი ურუსოვი გამოჩნდა, რომელსაც სამგლოვი.. ..ო. ..ორტეჟი მოსდევდა; მუსიკამ დაუ..რა „Ис..ходъ“ და შემდეგ ლოცვა. ზ..ის რეკვა განაგრძეს. მოწეს-რიგის უკან ფარანი მოჰქონდათ. საიმპერატორო ნავის მეხომეთა უფროსს ჯვარცმა მოჰქონდა. ამას მოსდევდა საეკლესიო დროშები, მგალობელთა გუნდი და სამღვდელოება. კუბოს წინ მოდიოდა განსვენებულის იმპერატორის მოძღვარი იანიშევი ხატით ხელში. მალე მოსჩანდა კუბო, ლამპრებით განათებული. კუბო გადაკრულია ოქროს ქსოვილით და ზედ ადევს სამეფო გვირგვინი, რომელიც მოსკოვის სასახლის დარბაზიდგან არის მოტანილი. კუბოს აქეთ-იქიდგან მოდიოდნენ სასახლის გრენადერები და კონვოის მოხელენი, ანთებულის ლამპრებით ხელში. კუბოს მოსდევდნენ უმაღლესის სასახლის, ხელმწიფე იმპერატორის ამალის, დიდის მთავრებისა და უცხო ქვეყნელ პრინცების მოხელენი. როდესაც სამღვდელოება ნაშთს მიეგება, ხელმწიფე იმპერატორმა და დიდმა მთავრებმა კუბო ჩამოართვეს, ეკკლესიაში შეასვენეს და წითელ ის ოქროს ნარმით შემოვლებულ ხავერდით გადაფარებულს კუბოს დასადგმელზედ დაასვენეს. შემდეგ პანაშვიდი იქმნა გარდახდილი.

ის ამაღლებული ადგილი, სადაც კუბოს დასადმელი იდგა, დაფენილი იყო წითელის მაუდით და თითოეული საფეხური შემოკრული იყო წვრილის ოქროს ნარმით. ორდენები დალაგებული იყო ფარჩის ბალიშებზედ. კუბოს დასვენების შემდეგ მორიგობა დააწესეს. კუბოს თავი ახდილია და ღვთის მსახურების შემდეგ ლივადიისა და იალტის მკვიდრთ ნება მისცეს ნაშთისთვის თაყვანი ეცათ.

სატახტო ქალაქის რედაქტორებმა და გამომცემლებმა იმ დეპეშის პასუხად, რომელიც ხელმწიფე იმპერატრიცას აახლეს ლივადიაში, პასუხად მიიღეს. „ხელმწიფე იმპერატრიცამ მიბრძანა მე გადმოქცეთ თქვენ თავისი მადლობა, იმ გრძნობისათვის, რომელიც გამოცხადებულია დეპეშაში და განსხვავებულია გარდაცვალებულ ის მის უავგუსტოესის მეუღლის შესახები წერილები. გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი“.

## თავად-აზნაურთა საგანგებო კრების გამო.

ოქტომბრის 30 უნდა მოხდეს ტფილისში თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. ამ კრებამ უნდა განიხილოს მოხსენება პატივცემულის გუბერნიის მარშლისა თ. კ. ი. ბაგრატიონ მუხრან-ბატონისა სამეურნეო სასწავლებლის დაარსების შესახებ. ამ საგანზე უკვე ჰქონია მოლაპარაკება მარშალს მეურნეობის მინისტრთან იმის საქართველოში ყოფნის დროს. მინისტრს დიდის თანაგრძნობით მიუღია ის ამბავი, რომ სამეურნეო სასწავლებელის დაარსება განუზრახავთ ჩვენში, და უთხოვნია, ეს საგანი უფრო დაწვრილებით განიხილოს თავად-აზნაურობამ და მერე ისე წარმომიდგინეთო. რაღა თქმა უნდა, სამინისტრო ერთის მხრით დასაბუთებულ აზრს მოელის თავად-აზნაურობისაგან იმისას, რომ სამეურნეო სასწავლებელი მართლაც საჭირო ჩვენთვის და, მეორეს მხრივ, უნდა შეიტყოს რა შემწეობას აღმოუჩენს თავად-აზნაურობა მთავრობას, თუ ვინიცობაა სასწავლებელი დაარსდა. მაშასადამე, ეს ორი საგანი უნდა განიხილოს მომავალმა კრებამ. მხოლოდ თუ გვინდა გამოვირკვიოთ სარგებლობა იმ საგნისა, რომელიც გადასაწყვეტად წარედგინება ზეგ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, საჭიროა გავიხსენოთ მოკლედ, რაში მდგომარეობს სამეურნეო განათლება და რა სიკეთეს შეგვძენს იგი.

სამეურნეო ცოდნას საგნადა აქვს ადამიანს ისეთი იარაღო მისცეს,

## ფელეტონი

—

* *
*

ტანჯვის ცეცხლს მიმცა ცხოვრებამ,
..ამის მომისპოს მე ბინა:
..ველა შხამ-გესლით მომირწყო,
..აც-კი რამ მააზრებინა.

—

ფრთები შეჰკვეცა სურვილებს,
..დომას მგესლარედ დასცინა
და შემილახა ყველა ის,
..აც ცხოვრებაში სდგას წინა.

—

გულში დაორთქილა იმედი,
..დომა გამიქრო ნდობისა,
..ამთიც არ დამრჩა ჭაბუკურ
..ოხენის და უდარდობისა.

—

ცა ჯოჯოხეთად მიჩვენა
და ეს სოფელი გველადა,
..ელში გამღუნა, რა მნახა
..სავალი მარტო-ხელადა.

—

ვიბრძვი და ბრძოლა არ გადის,
..ლივს ვუმღებ ბრძოლას დიადსა:
..ერთი მბჟუტავი სანთელი
..როგორ სძლევს ღამის წყვდიადსა?!.

* *

გავ კაეუბივარ ცხოვრებას
..როდეგ ტანჯვის ზღვას მკერდითა,
ქვეყნის ხსნისათვის მაბრძოლებს
მეც მხნედ გუდგივარ გვერდითა.

—

გზა გავიკვლიე მიზნისკენ,
უამირს ჩავუგდე საკვეთი,
მადლიან გულზედ ეურება
უეს ოფლი-ოფლზედ ნაწვეთი.

—

სული შემკო ძალ-ღონით,
გატკბა სიცოცხლე შრომითა,
მჯერა, რომ დიდ-მიზნის ტკბილ კართან
ჩქარა მავატანთ ომითა.

—

ნდომა მკლავს, ნდომა წინ წასვლის,
არ აქვს საზღვარი სურვილსა,
ხარბად ვსვამ ქვეყნის ტანჯვის ზღვას
ვსვამ და ვერ ვიკლავ წყურვილსა.

—

გული შეჰკოსნობს, გული სდუღს,
დღემდე-კი გულში ბნელოდა;
ბრძოლა გამიხდა ღვთაებად,
იმედი—სამლოცველოდა!

ცახელი

## ცემის მსხვერპლი

(ნამდვილი ამბავი)

ჯერ სწავლა არ დამემთავრებინა, ბიძა ჩემმა დავითმა რომ ცოლი შეირთო. დავითს დაბალი სასწავლებელი როგორც იყო გაეთავებინა და შემდეგ-კი სახლში დაბრუნებულიყო. სამსახურშიაც არსად შესულიყო, რადგან მამა ჩქარა მოჰკვდომოდა, თავისთვის საკმარისი საცხოვრებელი დარჩენოდა და ჰფიქრობდა, უიმისოდაც შემიძლიან ცხოვრება, თუ კარგად მოვიქცევი და მოვუვლი სარჩოსაო. ძალიან გამოცდილი და დახელოვნებული კაციც იყო ბიძა ჩემი ყოველ გვარ საქმეში. მეცადინეობდა შინაურის საქმეებით, მამულს კარგად აკეთებდა და სხვათა შორის იჯარით სხვა-და-სხვა საქმეს იღებდა; სცხოვრობდა ისე, როგორც ერთი და ორი კეთილშობილი კაცი სცხოვრობს. ცოლად კეთილშობილისავე ქალი მოიყვანა. ღვთის წინაშე, ძალუა ჩემი მაგდანი, ასე ერქვა სახელად, ბევრ მხრივ მომწონდა, კარგი ზრდილობიანი და თავაზიანი ქალი იყო, უწყინარი, სტუმრის მოყვარე და ამასთან კარგი გამრჯელი სახლში. არ იყო სხვა აზნაურშვილის ქალებსავით ცარიელზედ კოხტა-მპარტავანი და მუქთა-მჭამელი. ყველა საქმეში ქმარს მხარს აძლევდა და ნამდვილ ცოლ-ქრმობის უღელს უწევდა. ამასთან კარგი წარმოსადეგი და თვალადი ქალიც იყო. ერთი სიტყვით, კაცი წუნს ვერაფერში დასდებდა, მაგრამ, როგორც მე შევნიშნე, ცოტა ანჩხლი-კი უნდა ყოფილიყო. თუმცა ამ სიანჩხლეს ქმართან-კი არ იჩენდა, მაგრამ მეტად ეჯავრებოდა უსუფთაობა და თუ იმის გემოვნებაზედ იმის გოგო ანას არ გაეკეთებინა, რასაც დასაქმებდა, ვაი იმის ბრალი, თმებს დააგლეჯდა. ხშირად თავისს თავზედაც მოსდიოდა ხოლმე ბრაზი, თუ უხერხულად მოუვიდოდა რამე.

ხუთს წლამდის ბიძა ჩემს შვილი არ ეყოლა, მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ იმათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ვაჟიშვილის ღირსნი გახდნენ. აღარ იცოდნენ, როგორ აღეზარდათ შვილი, ათასნაირ აზრს აწყობდნენ. რაღა თქმა უნდა, ისე ნებივრადა ჰზრდიდნენ ნიკოს,—ასე უწოდეს სახელად შვილს—რომ ცივს ნიავსაც არ აკარებდნენ. ყოველ დღე სიგრძე-სიგანეს უზომავდნენ, აბა რამდენს მატულობს, ერთი ჩქარა წამოგვეზარდოს და ფეხი აიდგასო. იზრდებოდა ნიკო და მშობლები სიხარულით ფეხზედ აღარ იდგნენ. საცა რა ხილი გაჩნდებოდა, ნიკოს გულუხვად ჰკერძავდნენ. ტანთ ხომ, თქმა აღარ უნდა, როგორ აცმევდნენ; ათასნაირ სანებივრო სიტყვებს ჩასტიტინებდა მაგდანი. საწყალ ანას მთელი დღე მოსვენება არა ჰქონდა; ვაი იმის ბრალი, თუ რაზედმე ატირდებოდა ნიკო, სულ ის იყო დამნაშავე.

— ჩაარტყი თავში, ჩაარტყი, გენაცვალე, როცა ანამ ძირს დაგსვას!.. წააქეზებდა მაგდანი ნიკოს.

ნიკო, მართლაც, ისე იყო წაქეზებული დედის სიტყვებით, რომ ყოველ წამს ანას თავში უთხლაშუნებდა. იმ დროს ნიკო მესამე წელში იყო გადამდგარი. ამ სითამამესა და ნებივრობაში რამდენს ჭურჭელს ამტვრევდა ნიკო, თვლა არა ჰქონდა; ბაღში მშვენიერ ყვავილებს არ აყენებდა, კრუხ-წიწილას იმისგან მოსვენება არა ჰქონდა. ბევრჯელ იმისთანა დანაშაულს ჩაიდენდა ხოლმე, რომ ძნელი მოსათმენი იყო, მაგრამ, ბევრიც რომ სწყენოდა მაგდანს, ხმას არა სცემდა. წამოიზარდა, ახლა მეზობლის ბავშვებში გაერჩია, ათასნაირ ლანძღვა-გინებას სწავლობდა გარყვნილის ბავშვებისაგან. თუმცა დედას არ მოსწონდა ნიკოს ასე წარამარა სიარული, მაგრამ რას იზამდა, რომ ვეღარ შეიმაგრებდა გათამამებულს ბავშვს და ამაშიაც სულ საწყალი ანა გამოდიოდა დამნაშავე. ათასნაირი სათამაშო ნივთი გაუჩინეს სახლში, აღარსად წავიდესო, მაგრამ ამაო იყო ყოველნაირი ცდა. ნიკო რაც იზრდებოდა, იმდენი უფრო ხელოვნდებოდა სხვა-და-სხვა სისაძაგლეში: გამვლელ-გამომვლელს მოსვენება არა ჰქონდა იმისგან, ისე ჩაუშენებდა ქვებით, რამდენ წყალზედ მიმავალ დედაკაცს გაუტეხდა კოკას, რამდენს ბატსა და ინდოურს დააკოჭლებდა სხვისას, ვინ მოსთვლის.

რომელითაც მას ღონის ძიება მიეცე-მა მცირესა და ნაკლების ხარჯით რაც შეიძლება მეტი მოსავალი ამოაღებინოს ნიადაგს. ამ იარაღს უდიდესი მნიშნელობა უფრო კიდევ მაშინ ეძლევა, როდესაც რომელსა-მე ქვეყანაში ხალხი მრავლდება, სახნავ-სათესი ადგილ-მამული უფრო და უფრო წვრილმანდება და ხალხში-კი სხვა და სხვა გვარი მოთხოვნილება თანდათან მატულობს. ამ ნაირს მდგომარეობაშია ეხლა ჩვენი სამშობლო და სწორედ დრო არის ეს იარაღი მივაშველოთ კიდეც. აი, ამ იარაღს იძლევა სამეურნეო მეცნიერების ცოდნა. მხოლოდ თუ გვინდა დაწვრილებით ჩავუკვირდეთ იმ საგანს, რაში მდგომარეობს სამეურნეო ცოდნა, უნდა გავიხსენოთ, რა ხასიათი აქვს მეურნის შრომას.

მეურნის უახლოესი საგანი მცენარის მოყვანა და პირუტყვის მოშენებაა, ეს გარემოება იძულებულ ჰყოფს მას ნიადაგთანა და ჰაერთან იქონიოს საქმე, რადგან ამ ორის ელემენტის შემწეობით ჰკვებავს და ასაზრდოებს იგი როგორც პირუტყვთ, ისე მცენარეთა. რაც უფრო დაახლოებულია მეურნე ამ ელემენტებთან, რაც უფრო ზედ-მიწევნით ეცოდინება, რა ხასიათისაა ამა თუ იმ ალაგას ნიადაგი, რა ესაჭიროება ამ ნიადაგს და სხვა, ან რა ხასიათისაა ჰაერი, მით უფრო გაიმარჯვებს იგი თავისს შრომაში, მით უფრო ადვილად მიაღწევს თავისს საწადელს. აი ამ ელემენტების ზედ მიწევნით ცოდნას ანიჭებს კაცს სამეურნეო განათლება.

ამ ჟამად ჩვენ საშუალება არა გვაქვს ამ საგნის შესახებ დაწვრილებით მოვილაპარაკოთ, მაგრამ რაც ვსთქვით, ისიც საკმარისია, რომ დავასკვნათ: საგანი სამეურნეო ცოდნითსა დიდია. მეურნეობა კაცს ბუნებას პირდაპირ უყენებს, რაც უფრო ადვილად ჩაიგდებს ხელში მეურნე ბუნებას და დაიმორჩილებს, მით უფრო ადვილად აასრულებს თავისს სურვილს, და ბუნების დამორჩილება ხომ უძნელესი შრომა არის. კაცობრიობის დაუწყნარებელი საწადელი ყოველთვის ის იყო და არის, რომ ბუნების ძალა და შეძლება თავისს სურვილზედ ამოქმედოს, საითაც უნდა, იქით ატრიალოს. და იქ, სადაც ეს მიღწეულია, ადამიანიც გამარჯვებულია. ამიტომაც სხვათა შორის, მრეწველობამ ძალიან წინ წასდგა ფეხი, ადამიანმა ბუნების სხვა-და-სხვა ძალა — ელექტრონი, ორთქლი, სითბო და სხვ. — ხელთ იგდო და ბატონია. მაგრამ თუ ეს ბუნების ხელთ გდება მრეწველობისათვის ადვილი იყო, იგი ძნელია, თითქმის მიუწდომელია მეურნეობისათვის. ადამიანს არ ძალ-უძს ჰაერი შესცვალოს, სითბო თუ სიცივე მოუმატოს, ანუ ძირიანად შეუცვალოს ნიადაგს ყოფა-მდგომარეობა. აქ ადამიანს შეუძლიან ცოტად თუ ბევრად, მოახერხოს, საკმარისად დაიმონავოს ბუნება, მაგრამ სრულს მის დამონავებას ვერ მოახერხებს. ძლიერის იარაღით უნდა აღიჭურვოს იგი, რომ ბუნებაზედ ცოტაც არის გაიმარჯოს. ამ ძლიერი იარაღის შეძენას უნდება სამეურნეო ცოდნა და ამიტომაც მისი საგანი ერთობ რთული და ძნელია. საგანი რაც უფრო რთულია, მით უფრო ძნლია მისი ერთბაშად შეგნება, ამიტომ ვისაც სამეურნეო ცოდნის შეძენა უნდა, იგი წინადვე გამზადებული უნდა იყოს საგნის სირთულისა და სიძნელის დასაძლევად; ამისთვის საჭიროა მომზადება და ეს მომზადება-კი საზოგადო განათლებაა. ეს საერთო პრინციპია: ვისაც უნდა რაიმე სპეციალური საგანი შეიგნოს, შეიგნოს ისე რომ ყოველს ახალს მოვლენას, ახალს გარემოებას გაუძლვეს, პასუხი გასცეს — უწინარეს ყოვლისა საზოგადო განათლება უნდა მიიღოს. ეს კანონი უტყუარია როგორც სხვა მრეწველობაში, ისე მეურნეობაშიაც. თვით სამეურნეო ცოდნა გვეუბნება ჩვენ, რაში უნდა მდგომარეობდეს საზოგადო განათლება. ამ ნაირ განათლებაში ბუნების-მეტყველებას უმთავრესი ალაგი უნდა ჰქონდეს დათმობილი სოციალურ საგნებთან ერთად (სა. პოლიტიკო ეკონომია მეურნეობის ეკონომია სტატისტიკა), ამას თუ სამშობლო ენის, ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლას იმ საგნებსაც დაუმატებთ, რასაც ეხლა ასწავლიან საშუალო სასწავლებელში დავრწმუნდებით, რომ სამეურნეო სასწავლებლისთვის საჭირო საზოგადო განათლებას რეალური ხასიათი მიეცემა. ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ვინც ამნაირს განათლებას მიიღებს, შეუძლიან კიდეც საკმაოდ ვრცლად და ზედმიწევნით შეიგნოს სამეურნეო განათლება. მაშასადამე თუ, გვინდა ჩვენში სამეურნეო სასწავლებელი დავაწესოთ, წინა-პირველად მოსამზადებელ რეალურ სასწავლებლისათვის უნდა ვიფიქროთ. ვინც ამნაირს სასწავლებელს დაამთავრებს, იგი სამეურნეო ცოდნის მისაღებადაც მომზადებული იქმნება. მხოლოდ მაშინ შეიძენს იგი იმ ძლიერს იარაღს, რომელიც მას ბუნებას დაუმორჩილებს და მეურნეს უპირველესს საწადელს მიაღწევინებს.

რაკი გავიხსენეთ, რაში მდგომარეობს სამეურნეო განათლება და აღვნიშნეთ გზა, რომელიც უნდა გაიაროს მოსწავლემ, რომ მეურნეობა საფუძვლიანად შეისწავლოს, — ეხლა ადვილად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რა დიდი მნიშვნელობა ექმნება ამ სამეურნეო სასწავლებელს ჩვენში. ამ სასწავლებელს დიდი მნიშვნელობა ექმნება არამც თუ მარტო იმით, რომ სპეციალისტებს მოგვიმზადებს, არამედ იმითაც, რომ საზოგადო განათლებას გაავრცელებს, და ერთიც, და მეორეც ხომ აკლია ჩვენს ქვეყანას. და თუ ეს მნიშვნელობა ასე დიდია, რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენმა კეთილ-შობილმა წოდებამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ რაც შეიძლება სამეურნეო სასწავლებელი მალე დაგვიარსოს. ამისთვის იქნება საჭიროც გახდეს, რომ თავად-აზნაურობა ხარჯში მიუდგეს მთავრობას. თუ ეს ასე მოხდა, ჩვენის აზრით, ცუდი არ იქნება, რომ თავად-აზნაურობამ რეალურის სასწავლებლის შენახვა იკისროს. ეს უფრო ადვილია, რადგან აწინდელი სათავად-აზნაურო სკოლა ადვილად გადაკეთდება რეალურ სასწავლებლად და ამ სასწავლებელს ჩვენის ქვეყნისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება. ასეთს სასწავლებელს შეეძლება, როგორც კლასიკურ გიმნაზიების პირველ კლასებისათვის მომზადება, აგრეთვე რეალურ სასწავლებლებისათვისაც და იმ სამეურნეო სასწავლებლებისათვისაც, რომელსაც სამინისტრო დააარსებს. ამავე სათავად-აზნაურო რეალურ სასწავლებლიდან ყმაწვილები ადვილად გადავლენ აგრეთვე სხვა და-სხვა გვარ სპეციალ სასწავლებლებში, სამთო იქმნება იგი, სამხანიკო თუ სხვა.

მაშასადამე, თავად-აზნაურობამ უნდა სთხოვოს მინისტრს, მომავალ სათავად-აზნაურო რეალურ სასწავლებელს ისეთი უფლება მიენიჭოს, რომ შეეძლოს ხოლმე მოსწავლეები მოამზადოს სხვა-და-სხვა სპეციალ სასწავლებლისათვის, რომელთაც მთავრობა გაჰმართავს. თუ თხოვნა შეწყნარებული არ იქმნა, მაინც არ უნდა დავიშალოთ და უნდა დავიარსოთ რეალური სასწავლებელი, რადგან იქ იმდენად მომზადებულნი და განვითარებულნი მოსწავლენი იქნებიან, რომ ადვილად შევლენ სპეციალ სასწავლებლებში და ჩვენს ქვეყანას დიდს სიკეთესა და სარგებლობას გაუწევენ.

—ლი—გ.

# ახალი ამბავი

*** იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის სახელობაზედ დაარსებული ბრმათა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო აცხადებს რომ ამა წლის ივნისსა, ივლისსა, აგვისტოსა და სექტემბერს თვალების სამკურნალოში სწამლობდა სულ 1181 კაცი, რომელთაც 9510 ჯერ მოუნდათ საავადმყოფოში წასვლა მოსვლა. ამა ხანის განმავლობაში სამკურნალოს 167 ოპერაცია ჰქონდა.

*** დღეს, 28 ოქტომბერს, საბჭოს დარბაზში ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი პანაშვიდს იხდიან განსვენებულ ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად.

*** გუშინ ტფილისში დეპეშა მოვიდა რომ მირ-სეიდ აბდულ-ახად-ხანს, ბუხარის ემირს, გაუგზავნია პეტერბურგს ხელმწიფე იმპერატორის დასაფლავებაზედ დასასწრებლად საგანგებო დეპუტაცია, რომლის წინამძღოლადაც ემირს თავისი მემკვიდრე პრინცი დაუნიშნავს.

*** გუშინ, რადგანაც ლივადიიდგან განსვენებულ ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე III გვამი წაასვენეს პეტერბურგს, ტფილისის ეკკლესიებში ორჯერ გადახდილ იყო პანაშვიდი მისის უდიდებულესობის სულის მოსახსენებლად.

*** კვირას, 30 ოქტომბერს, რიყეზედ გამართულ უსასყიდლო სახაზო კვლავ დაიწყებს მოქმედებას რადგანაც ტფილისში ხოლერა გაჩნდა.

*** გუშინ მიხეილის საავადმყოფოში კიდევ ერთი კაცი გარდაიცვალ ხოლერით

---

აუფრაზედ ცხრაჯერ გაიბუტებოდა და ცხრა ხელს მოიტირებდა; თუ კერძა ცოტას არგუნებდნენ, მოისვრიდა თეფშით და ძირს რახვანს გაადენდა. ყველა ეს უნდა მოეთმინა მაგდანს. ბევრიც რომ დაეშავებინა, როგორ გაუჯავრდებოდა, ან როგორ სცემდა; პირველიც და უკანასკნელი შვილიც ნიკო იყო და მზეც იმაზედ ამოსდიოდა. სამაგიეროდ ყოველთვის უნდა დაეყვავებინა და მისი სურვილი აესრულებინა.

ხშირად, ბოლოს დროს, დავითსა და მაგდანს უსიამოვნობა გამოერეოდათ ხოლმე ნიკოს თაობაზედ, ერთმანეთს აბრალებდნენ ბავშვის გარყვნას, მაგრამ დამნაშავე-კი ნიკოს აღზრდაში დედა იყო, რადგან დავითს ნახევარზედაც არ უხდებოდა სახლში ყოფნა და ნიკო უფრო მაგდანის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა.

დავითს რაღაც საიჯარო საქმეები უჩნდა მაზრის ქალაქში, სადაც ორ თვემდის უნდა დაეყო. ახლა სულ ალარავისი ეშინოდა ნიკოს, თავისუფლად შეეძლო ყოველი სისაძაგლე მოექმედა. იმ დროს ნიკო შვიდის წლისა იყო. სცდილობდნენ დედამა სახლში წერა-კითხვა ესწავლებინათ და დავითი რომ დაბრუნდებოდა, მაზრის ქალაქის სასწავლებელში მიცემას უპირებდნენ, მაგრამ ვერაფერს ნიჭს იჩენდა ნიკო სწავლაში. ამის სამაგიეროდ ის სცილობდა სხვა რამ ახალი შეეძინა გარყვნილ ყოფა ქცევის ბავშვებისაგან და ყველაფერი უნაკლულოდ აესრულებინა, ეს უფრო ახლო იყო იმის ჭკუასთან.

ახლა-კი მაგდანი მოთმინებიდგან გამოდიოდა, აღარ შეეძლო ნიკოს ყოფა-ქცევისთვის გულ-გრილად ეცქირნა. სხვაც არა იყოს რა, ახლა კი აღარ შეჰშვენოდა ამდენის სისაძაგლის ჩადენა. აქამდის თუ პატარა იყო და უთმენდა, ახლა შვიდის წლისა და მერვეში გადამდგარი იყო. დრო იყო რამე საშუალება ეხმარა ნიკოს გასწორებისათვის. სცხვენოდა მაგდანს, რადგან მეზობლები ჰკიცხავდნენ ბავშვის გარყვნისათვის; ხათრით კი ვერას ეუბნებოდნენ, ბევრიც რომ დაეშავებინა ნიკოს იმათთვის.

— მაშ მე ქალი არ ვიქნები, თუ დავითის დაბრუნებამდის არ მოვაჭკვიანო და ისე არ დავახვედრო, მაინც სულ მე მაბრალებს შენს გარყვნას, მეყო ამდენი მოთმენა!... ამბობდა მაგდანი.

პირველად მაგდანმა ჭკვიანად დაუწყო დარიგება ნიკოს, შემდეგ ჯავრობა და თანდათან წყევლასაც შეაჩვია პირი. უსაძილოდ ბევრჯელ სტოვებდა, ემუქრებოდა ცემას... მაგრამ ვერაფერს ცვლილებას ვერ ატყობდა.

— უი, შენს მაგდანს, ქა! ვინ მე და ვინ ასეთი შვილი. ერთი მყვანდის და ესეც კარგი არ იყოს?!.. ამბობდა გულ-მოსული მაგდანი.

უკანასკნელი საშუალება-ღა დარჩენოდა მაგდანს ნიკოს მოსაჭკვიანებლად — ცემა. თუმცა, როგორც თითონ ჰფიქრობდა, ამით უეჭველად მოაჭკვიანებდა, მაგრამ კიდევ ვერ იმეტებდა ნიკოს საცემად. მეტი ღონე არ იყო, თუ-კი ეშველებოდა რამე, ამ საშუალებისათვისაც უნდა მიეყო ხელი.

პირველად მაგდანმა ცოტ-ცოტაობით დაუწყო ნიკოს ცემა, მაგრამ შემდევ და შემდეგ ისეთ ნაირად ჩააშვებდა ხოლმე, რომ თითონაც აღარ ესმოდა მეტის სიბრაზისაგან რას სჩადიოდა. ერთს თვეზედ კარგად გაივარჯიშა ძალუა ჩემმა ნიკოს ცემა და იქამდის შეუბრალებლად სცემდა, რომ მეზობლები ძლივს გააშვებინებდნენ ხოლმე ხელს.

ზაფხული იყო. მაგდანის დიდი ბაღჩა სასიამოვნო სანახავს წარმოადგენდა. ათას ნაირი ყვავილებით იყო იქ ურობა აჭრელებული, მწვანილეულობას ბიბინი გაჰქონდა. შესავალ კარებში ყვავილებითა და პატარა ქრელის გოგრებით დაბურული დიდი ხეივანი იყო ჩაგრძელებული. ხეივნის შუა ალაგას დიდი სტოლი იდგა, აქეთ-იქით სასხდომი სკამებით. ზაფხულობით მაგდანის დილითა და საღამოთი ჩაის სასმელი ალაგი ეს იყო; სტუმრებსაც აქ მიიწვევდა ხოლმე. ხშირად დაემუქრებოდა დედას ნიკო „აბა მცემე და ნახე როგორ ძირიანად ამოვაბრუნო შენი ხეივანიო". აასრულა კიდეც ნიკომ თავისი მუქარა. როდესაც მაგდანმა, ჩვეულებისამებრ, კარგა მიტყაპა, ვეღარ მოითმინა ნიკომ და სულ ძირიანად ამოაბრუნა ის მშვენიერი ხეივანი. ამის მნახველი მაგდანი ისეთი გახდა, რომ აღარ იცოდა რა ექნა; იმ საათში რომ გადაბრუნებულიყო და მომკვდარიყო ნიკო, იქნება არც-კი დაჰნანებოდა. ის შენს მტერს, რაც დღე იმან ნიკოს დააყენა. იქამდის სცემა, რომ ნიკოს ტირილის ალაჯი აღარც-კი ჰქონდა. ცოცხალ მკვდარი ბავშვი ძლივს გამოაცალეს ხელიდგან მეზობლებმა.

ნიკო ისე იყო ნაცემი, რომ ძნელადღა გამოდგებოდა. მაგდანიც ამჩნევდა ამას და აღარ იცოდა როგორ შეენანია. იმ წუთას ცალკე სირცხვილსა ჰგრძნობდა და ცალკე შიშისაგან ათასნაირი აზრი უტრიალებდა თავში. აქამდის მოუსვენარი ნიკო გაფითრებული და მიკნავებული უმოძრაოდ ევდო ტახტზედ, მაგდანს უნდოდა როგორმე მიეალერსნა მაგრამ ვერ ახერხებდა.

— ეს რა ღმერთი გამიწყრა!.. რა ვქენი? რაზედ მოვკალი ბალღი!.. ამბობდა თავისს გუნებაში მაგდანი.

ის იყო და ის, ნიკო ლოგინად ჩავარდა. სოფლის ექიმი დედაკაცები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერა-უშველეს-რა ავად მყოფს, ცემაში გულმოცემული გაჰფუჭებოდა და უფრო უკან და უკან მიდიოდა, აღარც არასა ჭამდა, რასაც მიუტანდნენ, ზედაც არ დახედავდა. მაგდანს-კი გული უსქდებოდა, გაშტერებული ხან ერთს შეეკითხებოდა და ხან მეორეს — ნუ თუ მოვკალ მაშ ჩემი ნიკო და საშველი არსით არისო?

— რაღა პასუხი გავცე დავითს.. მე ხომ იმას ვეღარ ვეჩვენები, შვილი მოვკალ მე თავ-მკვდარმა... სასწავლებელში მიცემას უპირებდა ამ ენკენისთვეში... ამბობდა მაგდანი.

თიბათვის ნახევარი იყო. სოფელში გახურებული მკა ჰქონდათ მზე ჩასვლას აპირებდა. ყველა მხარეს მინდვრიდგან მომავალ მუშების სიმღერის ხმა გაისმოდა. მაგდანის ეზოში კი მოეყარათ მეზობლებს თავი და შემოსხდომოდნენ მოაჯირზედ მწოლიარე ავადმყოფს. ზოგი ანუგეშებდა მაგდანს, ღმერთი მოწყალეა, არა უშავს რაო; ზოგსაც ორ-ორს ერთად მიეყუდათ თავები და ჩუმათ ლაპარაკობდნენ.

— რა ქნა, თქვენი ჭირიმეთ, ამ ადამიანმა, რაზედ მოჰკლა ეს ბალღი.. მე სულ არ მოვიფიქრებდი მაგდანისაგან ამას!.. ეუბნებოდა ერთი მეორეს.

— საკვირველია ღმერთმანი, ქა! ამოდენა ბალღი გაზარდა, აქამდი და

*** რიყის სასანიტარო მზრუნველომა, ხმოსანმა ზაზოვმა სთხოვა ქალაქის მოურავს, რიყის გასასუფთავებლად ყოველ დღე გამომიგზავნეთ 15 მუშა და 15 პატიმარი. ამ ადგილის გასუფთავება ეხლავე საჭიროა, რადგანაც აქ ხოლერა მძვინვარებსო.

*** ქ. ქუთაისში ქალაქის მოურავის ბ-ნ ლოლუას მეცადინეობით წიგნთ საცავი დაუარსებიათ. ამ წიგთსაც ვისათვის შეუგროვებია კიდეც წიგნები და გაზეთ ჟურნალი გამოუწერიათ. ამ ჟამად კატალოგი იბეჭდებაო, ამბობს გაზ. „Кавказъ“-ი, და დაბეჭდისათანავე წიგნთ საცავიდგან წიგნებით სარგებლობა შეეძლებათ მკვიდრთაო.

*** Тф. Вед.“ ის სიტყვით ფრანცები სცდილობენ კავკასიაში ვენახები შეიძინონ. ამ საქმის გამო იქ კიდეც მისულა ცნობილის ფრანგულის ფირმის ოტტო ჩილზის წარმამადგენელი, რომელიც საგანგებოდ იმ აზრით მოდის კავკასიაში, რომ საფრანგეთის ღვინის ვაჭრების მინდობილობით, ვენახები შეიძინოს, რომელთაც დიდიხანია მიაქციეს ფრანცებს ყურადღება.

*** „Нов. Вр.“ გვარწმუნებს, რომ გზათა უწყების სამინისტრომ დაამტკიცა პროექტი ფოთის ნავთ-სადგურის გაუმჯებობისაო. ამ საქმისთვის მთავრობის გადადებული აქვს თურმე 4 მილიონი მანეთი.

## ნეკროლოგი

† გრიგოლ მერაბის ძე კუტალია

—

სამშაბათს, 25 ოქტომბერს, ახალგაზრდობას გამოაკლდა ერთი უნიჭიერესი წევრი, გრიგოლ მერაბის ძე კუტალია, რომელიც ჯერ არავისგან იყო ცნობილი და შავმა სიკვდილმა ხომ აღარ დააცალა თავისის მოწოდებისათვის მიეღწია—სამშობლოსათვის სამსახური გაეწია! მოსწყდა თავისს ამხანაგებს და თან წაიღო ბუნებისაგან მომადლებული ნიჭი. ალბად მუხთალს ბედს შეშურდა ჩვენთვის მისი ნიჭი, რომ ასე უდროოდ შავს მიწას ამოაფარა!

გრიგოლ კუტალია ს. ხეთას მცხოვრებელი მეგრელი იყო. დედ-მამა ადრე დაეხოცა და დარჩა ღვთის ანაბარა. ღარიბმა ნათესავებმა პირველად სოფლის სასწავლებელში მიაბარეს, სადაც პირველადვე დიდი ხალისი და სწავლის უნარი გამოიჩინა. აქედგან სენაკის სასულიერო სასწავლებელში გადავიდა და, ამ სასწავლებელში სწავლის დამთავრების შემდეგ, ტფილისის სასულიერო სემინარიაში პირველ მოწაფედ იქმნა გადაყვანილი. აქ-კი მეხუთე კლასამდის მიაღწია და... ათასს ჭირ-ვარამს, ათასს შევიწროვებას, სიღარიბეს ვეღარ გაუძლო და საუკუნოდ პირი იბრუნა ამ ქვეყნიდგან. მოკვდა ნათესავების დაუტირებლად, უპატრონოდ, სემინარიის საავადმყოფოში. მხოლოდ ამხანაგების გულ-წრფელი ცრემლი და გოდება იყო მისი ჭირისუფალი. თავისის ნიჭით, მშვიდის, უწყინარის ხასიათით, განათლებულის გონებით, მტკიცე და შეურყეველის მიმართულებით გრიგოლს უპირველესიადგილთაგანი ეჭირა ამხანაგთა შორის და დიდი პატივიცა ჰქონდა დამსახურებული. იგი იყო სიამაყე, იმედი და მშვენება სემინარიის მოწაფეებისა. ყველა მათგანი ჰგრძნობდა მისდამი რაღაც გამოუთქმელს სიყვარულსა, პატივისცემას. რომ გეკითხნათ, ვინ არის თქვენში უფრო უკეთესი მოწაფეო, ყველა ამაყად გიჩვენებდათ გრიგოლს. დიაღ, გრიგოლი მშვენება იყო მთელის მოსწავლეებისა.

ასეთი ძვირფასი იყო გრიგოლი ამხანაგებისათვის, მაგრამ არა ნაკლებ უყვარდათ და პატივსა სცემდნენ მასწავლებლები. ისინი გაოცებით შესცქეროდნენ მისს ნიჭს და უკვირდათ მისი წლოვანებასთან შედარებით დიდი განვითარება. ყველა-კი ერთად, მასწავლებელ-ამხანაგ-ნაცნობები დიდის იმედით შეჰხაროდნენ, მაგრამ მუხთალმა ბედმა, ამხანაგების სამწუხაროდ ეს მომავალი მოღვაწე მკერდიდგან უდროოდ მოსწყვიტა ჩვენ ქვეყანასა.

ც.

## ტელეგრამისა და შენიშვნის გამო

(პასუხად ბ-ნს დუტუ მეგრელსა)

ჩვენს საგრამატიკო კამათში ტელეგრაფიც-კი ჩაერია. ნახატებიანის გაზეთის უკანასკნელს ნომერში ამოვიკითხეთ: „კვალის“ რედაქცია თავის (?) მუდმივ თანამშრომელის დუტუ მეგრელისაგან მოუვიდა (ფეხების თანამშრომლისაგან როდის-ღა მოუვა?) დეპეშა: „შეეკითხეთ სიმონიძეს დაასახელოს, რომელი იყო ის იმერელი, რომ სიტყვა „ჰკვიერი“ უარჰყო?“.

ეეჰუ! ოლთისიდგანაც-კი მრისხანე ტელეგრამას იგზავნებიან, დევიღუპე კაკალი კაცი-მეთქი. მინამ ამ საომარს ტელეგრამაზედ პასუხს გავცემდი, მეორე დღესვე ფოჩტამ მოაცუხცუხა შენიშვნა ბ-ნი დუტუსი. ეტყობა ოლთისიდგან ტელეგრამა და ფოჩტა ერთისა და იმავე სისწრაფით მორბიან. ტელეგრამა მესროლეს „კვალის“ ფურცლიდგან, შენიშვნა ივერიის სვეტიდგან, ტელეგრამას ფაფხურას დაღი აზის; შენიშვნა მშვიდობიანი და წყნარია. ეტყობა ფაფხურასაგან ფაფხურობა „კვალის“ ყველა თანამშრომელს არ გადასდებია.

აი ჩვენი პასუხი ტელეგრამასა და შენიშვნაზედ.

დღესავით ცხადად გვახსოვს, რომ სწორედ ბ-ნმა დუტუმ აღიარა კარეკტურის შეცდომად სიტყვა „ჰკვიერი“, ნახმარი ბ-ნის აკაკისაგან და სთქვა: ჩვენი პოეტი მაგ ფორმას ვერ იხმარებდაო. სთქვა ისეთი გადაჭრილი კილოთი, რომ ყველა იფიქრებდა, ამას ეს ფორმა პირველად ესმისო. მაგრამ მისი შენიშვნიდგან აშკარად, სჩანს, რომ იგი ამ ამბავს სრულიად უარ ჰყოფს. ვის ატყუებს ხსოვნა, ჩვენა, თუ „კვალის“ მუდმივს თანამშრომელსა? მიუცილებლად ბ-ნს დუტუს.

მაგრამ ვისაც უნდა ატყუებდეს ხსოვნა, საკამათო ფორმის ბედის გადასაწყვეტად ამას იოტის ოდენა მნიშვნელობა არა აქვს. არავისი მოწმობა აქ საჭირო არ არის საქმისათვის. რომელს ფორმას ხმარობდნენ წინედ მთელს საქართველოში ლიტერატურასა და საუბარში? ფორმას: ჰკვიანი. რომელს ფორმას ხმარობენ ახლაც ყველა იმერნი და ამერნი? იმავე ფორმასა. ხოლო «ჰკვიერი» არც უწინ გაგონილა აქეთს საქართველოში და არც ეხლა. მართალია, იქითა საქართველოში ურევენ ამ ფორმასაც, მაგრამ იშვიათად. მას არ იხმარებს არც განათლებული იმერი, არც თავად-აზნაური და არც დარბეისელი გლეხი. „ჰკვიერს“ გაიგონებთ მხოლოდ უბირის გოგიტელებისაგან. ამას ემოწმებიან განათლებულნი იმერნი, მაგალითად ბ-ნი მეველე, და თვით ბ-ნი დუტუც, რომელიც არას დროს არ დაითაკილებდა „ჰკვიერს“ აკაკის მაგივრად და არ ჩასთვლიდა კარეკტურულ შეცდომად, თუ სხვა ფრივ ყოფილიყო საქმე. ეს ნამდვილი ამბები ემოწმებიან ჩვენს აზრსა, რომ „ჰკვიანი“ არის წმინდა საყოველთაო ქართული და „ჰკვიერი“-კი მდარე ჩიქორთული.

მართალია, ჩვენს განთქმულს პოეტს სრული ნება და უფლება აქვს ჩიქორთული ქართულად მონათლოს და ამ ატესტატით ამყოფოს მეტყველობის სამფლობელოში; მაგრამ, დახეთ მუხთალს ბედსა: „ჰკვიერს“ მიწის მგელი გაუჩნდა იქ, სადაც ეგულებოდა თვისი მხურვალე მოსარჩლე. წარმოიდგინეთ, თვით ბ-ნი გიროგი წერეთელი, უუჰკვიერესი იმერი, მოულოდნელად აღმოჩნდა და უარ-ჰყო „ჰკვიერი“, როგორც დამახინჯებული და გარყვნილი ფორმა და მის ნაცვლად წამოაყენა უნაკლულო და უუსრულესი სახე ამ სიტყვისა. არ გჯერათ? აბა ჩაიხედეთ მისს წერილში: «წმინდა ესტატე მცხეთელი“, რომელიც დაბეჭდილია „კვალის» უკანასკნელს ნომერში და ნახავთ, რომ იგი მეფე ვახტანგს გორგასლანზედ ამბობს: მას არც ჰკვიანი დაერქმევა და არც ჰკვიერიო. იგი იყო „ჰკ—უი-ერიო“. ასეთი ხასიათი სჭირს ბ-ნს გიორგისა. რა საქმეშიაც უნდა ჩაერიოს, უთუოთ უი-! დაანათლებს, ისეთი განუშორებელია მისგან უი და ვაი. ახლა ბრძოლა დაიწყება „ჰკვიერსა“ და „ჰკუიერსა“ შორის. ამის გამო დიდს მოგებაში იქმნება ჩვენი ფილოლოგ-გრამატიკოსი, რომელსაც შემთხვევა მიეცემა დასწეროს საგრამატიკო კვლევა დიფტონ-ფრიბტონებიანი, ინფიქსაც-პრეფიქსაციანი, გაასამართლოს «ჰკვიერი» და „ჰკუიერი“ და დაადგინოს თავისი გარდაწყვეტილება: რომელი უფრო უარესია მათში და როგორ უნდა ვიხსენიებდეთ ამ დღიდგან „კვალის“ ფაფხურას—როგორც უუჰკვიერესს, თუ უუჰკუიერესსა?..

იაკობ სიმონიძე

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** შაბათს ბრადფორდში ლიბერალებს კრება ჰქონდათ, რომელზედაც ლორდ როზბერიმ ისეთი საპოლიტიკო სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც ნათელსა ჰფენს მთავრობის მომავალს განზრახვასა და სურვილს. მინისტრ-პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ აწინდელი პარლამენტი დიდხანს ვერ მოიკიდებს ფეხსაო. როდესაც საზოგადო არჩევანები დაიწყება, საარჩევანო ბრძოლას, ორა-

---

ამას არა სცემდა ისე გარყვნა სითამესა და ნებივრობაში, ახლა ეგრე უცბად უნდა მოეჭკვიანებინა, ამბობდა მეორე.

— ამაღამ ვეღარ შეაღწევს ე ბალღი და დაუდგება თვალი ამ უბაღრუკს. უი, შენი ბრალი, დავით, შენი გამწარებაი!.. რა იცის იმ საწყალმა, რა ამბავია იმის თავზედ?. დასძინდა მესამე.

ნიკო აქამდის სულ არ იღებდა ხმას და თვალებ მილულული იყო მისვენებული ბალიშზედ, მხოლოდ ყოველს წამს მწარედ და გულსაკლავად ამოიკვნესებდა ხოლმე. ამ საღამოთი-კი უკეთ გრძნობდა თავს, პირველად გაახილა თვალები და დედას თვალიერება დაუწყო, რომელიც თავით ეჯდა და ჩასცქეროდა თვალებში.

— დედავ, დედა!.. ამოილაპარაკა ნიკომ, შენიჭირიმე დედილო!.. დედა არ მომიკვდეს, თავისს დღეში აღარ გაგაჯავრებ... აღარ ვიგიჟებ... მიშველე, მომარჩინე... აი აქა მტკივა ძალიან, დაიდო ხელი მარცხენა ფერდთან, ექიმი არ მოვა... მამა სად არის?.. ისეთ ნაირად ამოილაპარაკა ნიკომ ეს სიტყვები, რომ ყველას ეგონა, ახლა-კი უთუოდ გამობრუნდა და კარგად არისო.

— ჰო, გენაცვალოს დედა, შვილო! ნუ გეშინიან, კარგად იქნები... ექიმიც მოვა, მამა... მორჩები... თვალცრემლიანი სლუკ-სლუკით ძლივს ეუბნებოდა მაგდანი, გული ყელში მოჰბჯენოდა და ვეღარ ახერხებდა როგორმე დაემშვიდებინა კიდევ ნიკო.

ამ დილით მ გდანს ბიჭი გაეგზავნა ქალაქში ექიმის მოსაყვანად და ამაღამ თუ არა, დილისთვის კი ელოდდა, დავითს კი ვერ ატყობინებდა, რადგან იმედი ჰქონდა, იქნება ექიმმა როგორმე უშველოსო. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მაგდანი უცბად შეშმიშივით წამოვარდა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, შევარდა სახლში და დაჩოქილმა მაცხოვრის ხატის წინ გაიპყრო ხელები:

— გევედრები, ყოვლად მოწყალეო! შემინდე ცოდვა... გაძლევ ფიცს აღარაფერში არ შევცდე შემდეგ... ევედრებოდა მაგდანი და თან კაკალ-კაკალ ცრემლებს აფრქევდა.

ეს რომ ამ ვედრებაში იყო, კარში დედა-კაცებმა რაღაც ჩოჩქოლი ასტეხეს. მაგდანმა მოჰკრა ყურს და მიჰხვდა, რა უბედურებაც ჰხდებოდა მის თავზედ. იგი საუკუნოდ გამოესალმა საყვარელ ცელქს. მშობლის გამწარებულს ტირილსა და თმების გლეჯას ანგარიში არა ჰქონდა. ნიკოს უკანასკნელი ამოლაპარაკება ის წამი იყო, სიკვდილის წინ ავადმყოფი რომ მოიხედავს და კარგად ჰგრძნობს ხოლმე თავსა.

ერთის კვირის შემდეგ ყოველ დღე და ღამე ჰხედავდნენ მაგდანს საფლაოსკენ მიმავალს, რომელიც სოფლის ბოლოს მდებარეობდა და გვერდით მაზრის ქალაქის გზა ჩაუდიოდა. იდგა მაგდანი და თმების გლეჯით ათასნაირ სიტყვებს გაჰკიოდა, დაეცემოდა შვილის საფლავს და მწარედ მოსთქვამდა.

— ნიკო! შვილო, აღარა გცემ... აღარ გაგიჯავრდები, მაპატიე... გენაცვალე!...

მთელს სოფელში მაგდანის ამბავს ლაპარაკობდნენ: „ის უბედური ჭკუაზედ შესცდაო“.

—

მშვენიერი მთვარიანი ღამე იყო. სოფლის ბოლოს ადამიანის ხმაურობა შეწყვეტილიყო. მხოლოდ ერთგან მეძროხეებს მოეყარათ თავი გზის პირად, დამაძღარი საქონელი გარშემო შემოეყარათ და ვახშამს შეექცეოდნენ: მეორე მხრიდგან მეცორის გულსაკლავი სალამურის ხმა გაისმოდა, რომლის ხმას მარტო ერთად ერთი ღამის ფრინველი ლა ეჯიბრებოდა რომელიც სასაფლაოს ხის კენწეროდგან „ოლოლოს“ ქვეითკენ გაიძახოდა.

— ბიჭო, ი ვინ მოდის ცხენით ქვეიდგან დავითსა ჰგავს მგონი. არა? შეეკითხა ერთი მეძროხე მეორეს.

— ის არის, ვერა ხედავ? იმის ლურჯა ცხენს მოხარშულ ვიცნობ, კაი ამბავი კი დაუხვდება შინ უბედურსო! ამბობდა მეორე.

დავითს გეეთავებია საქმეები ორს თვეზედ და ღიღინით მოდიოდა შინისკენ თავისის ლურჯათი. სავსე ხურჯინით ბევრი რამ მოჰქონდა ცოლშვილისათვის. ნიკოსთვის ლამაზი ქართული ტანისამოსი შეეკერვინებინა ქალაქში. ოცნებაში იყო, როგორ გავახარებ ჩემს ნიკოს, პატარა ვერცხლის ქამარ ხანჯალს რომ შემოვარტყამ წელზედაო, რომ სასაფლაოს კიდეც მოუახლოვდა. უცბად რაღაც კივილის ხმას მოჰკრა ყური, მთვარის შუქზედ აშკარად გაარჩია სასაფლაოზედ რაღაც თმა-გაწეწილ ადამიანის არსება.

— ვინ უნდა იყოს ამ შუაღამისას სასაფლაოზედ, ადამიანს აქ რა უნდა ამ დროს?-ჰფიქრობდა დავითი.

ეს იყო მაგდანი, რომელიც, ჩვეულებრისამებრ, შვილის სანახავად ჩამოსულიყო. იგი ახლა ადამიანურს გრძნობას მოკლებული იყო; იმდენი ერახუნებინა თავი ხისა და ქვისთვის, რომ უკანასკნელ განწირვის დღეში ჩავარდნილიყო. ნახევარზედ შიშველს, რადგან დაგლეჯილი ტანისამოსი ეცვა, თმებისა და პირისახის გლეჯით საკმარისი ტანჯვა გამოევლო, რითაც თავის დანაშაული მოენანიებია. იმის სიცოცხლე ბეწვზედ-ღა ეკიდა. იმდენი გრძნობა კიდევ შერჩენოდა, რომ შვილის საფლავზედ უნდოდა დაელია სული.

— უნდა ჩივიდე უსათუოდ, ეს გიჟსა ჰგავს ვიღაც არის! რაღაც სარდუმლოა აქ... ქალი უნდა იყოს... მაგრამ მე რაღა მემართება ეს, თავბრუ მესხმის... გული რაღაც კარგს არ მეუბნება.. საშიში რა უნდა იყოს აქ, კაცი არა ვარ?—სთქვა ესა და მიუახლოვდა დავითი.

თავ-პირ ჩამოგლეჯილმა მაგდანმა უცბათ შეაბრიალა თვალები და იცნო დავითი.

— დავით! შენ აქ რა გინდა... მარტო მე უნდა ვიყო აქ... ჩემი ნიკო მარხია აქა, იმას ვყარაულობ... მეც აქ უნდა მოვკვდე... გატაცებული ლაპარაკობდა მაგდანი. ერთი კიდევ წაიშინა თავში, გაიწიწკნა თმები და დაქანცული დაეშვა საფლავზედ.

დავითი იდგა და ანგარიში ვეღარ მიეცა თავისთვის, აღარ იცოდა როგორ მოეთმინა, რომელი ერთი ეტირა, ცოლი თუ შვილი?

— ვაი ჩემს სიცოცხლეს ეხლა! ვაი, თაო დალუპულო, საყვარელო ცოლო და შვილო!... ეს რა ამბავი ჩემს თავს, რას ნიშნავს ეს?!. ნუ თუ ცხადად ვხედავ ამას!!.. ამოიქშინ მწარედ დავითმა და ზარ-დაცემული დაემხო საფლავს.

მესამე დღეს ნიკოს გვერდით დაასაფლავეს მაგდანიც. მას შემდეგ ვეღარც ბიძა ჩემმა ნახა კარგი. ის ეხლაც ცოცხალია, მაგრამ ვაი იმას სიცოცხლეს, ორი თვის შემდეგ ისიც ჭკუაზედ შესცდა.

ა. სოლომონიძე

ურის სიტყვით, ჰომრული ან ეკლესიების სახელმწიფოსაგან განკალკევება-კი არ გამოიწვევს, არამედ ლორდთა პარლამენტიო. ეს საგანი ახალი არ არის, მაგრამ ისიც საგანთა ჯგუფს ეკუთვნის, რომელსაც მინისტრ-პრეზიდენტი, მისის სიტყვით, ყოველთვის დიდს ყურადღებას აქცევდა. იმისი მიზეზი, რომ ზედა პარლამენტში საჭიროა ცვლილებანი იქმნეს შემოღებული, შემდეგია: იმ დროს, როდესაც ლორდთა პარლამენტში აქამდის არავითარი ცვლილება არ მომხდარა, ქვედა პარლამენტი, ამ უკანასკნელს 60 წლის განმავლობაში, სამჯერ იქმნა ახალ წესზედ დაყენებული და სადემოკრატოული შთაებერა. ამ გვარად, ეხლა არსებობს, ერთის მხრივ, იმ წარმომადგენელთა პარლამენტი, რომლებიც დემოკრატიულის წეს-წყობილებით არიან არჩეულები და, მეორეს მხრივ პარლამენტი, რომელიც განსაკუთრებით მებატონეებისაგან არის შედგერი, და რომელიც მტრულად ექცევა ერის ყოველს სურვილსა და საწადელს. მომავალს არჩევანებზედ ქვედა პარამენტში 100 თუნდ 600 ლიბერალიც რომ იქნეს ამორჩეული, ზედა პარლამენტში მაინც 30 ლიბერალი მებატონე დარჩება და ეს თავისუფალ დაწესებულებათა მასხარად აგდებაა. ლორდ როზბერიმ განაცხადა, მე წინააღმდეგი არა ვარ ორის პარლამენტის არსებობისაო, მაგრამ არც ერთის პარლამენტის უთვალ-ყუროდ მოქმედებას ვეთანხმებიო. ხოლო თუ არჩევანზედ მიდგა საქმე, მაშინ შეიძლება შევყოყმანდეო. აწინდელი მდგომარეობა, პრემიერის აზრით, საშიში და საფთხილოა და შეიძლება რევოლიუციაც გამოიწვიოსო.

ლორდთა პარლამენტი სრულიადაც არ ასრულებს მეორე პარლამენტის დანიშნულებასა. იგი მხოლოდ სადასო დაწესებულებაა, დასების ინტერესს ემსახრრება და დასთა ხელმძღვანელების მეთვალ-ყურეობას ექვემდებარება.

შემდეგ ლორდმა როზბერიმ განაცხადა, რომ დიდად ძნელია შეცვლა იმ უფლებისა, რომელიც ლორდთა პარლამენტსა აქვს მინიჭებული. ზოგიერთი მინისტრთაგანი მადლიერი არ იყო ჩემი, იმიტომ რომ ლორდთა პარლამენტის შესახებ ჩემის აზრის გამოთქმა დავაგვიანეო. მაგრამ მთავრობას კარგად ესმოდა რა მოვალეობა, პასუხის-გებაც ჰქონდა საკისრი, და ამიტომაც არ აჩქარდაო, თუ გვსურს, რომ უფრო სასარგებლოთ გადასწყდეს ის საკონსტიტუციო საკითხავი, რომელიც გარემოებამ წინ დაგვიყენა, საჭიროა ვიხმაროთ ყოველივე ძლიერი საკონსტიტუციო იარაღი, რომელიც მთავრობას და პარლამენტს აქვს ხელში. ამათში უმთავრესი ადგილი საზოგადოებათა პარლამენტს უჭირავს. მთავრობა მიჰმართავს ამ პარლამეტს და წინადადებას მისცემს, აღსასრულოს ის გადაჩენი, რომელიც აცხადებს, რომ ერის წარმომადგენელთა პარლამენტს ლორდთა პარლამენტზედ გარდამეტებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდესო.

თუ ეს განჩენი აღსრულდა მაშინ, გი მთავრობისა და ქვედა პარლამენტის საერთო განცხადება იქნება, კონსტიტუციის განხილვის შესახებ გამოთქმული. შემდეგ ქვეყანა იქმნება მოწოდებული, რათა მთავრობის მომხრეთა უმრავლესობა ამოირჩიოს და ამ გვარად მთავრობას მიანდოს ამ საგნის საუკეთესოდ გარდაწყვეტა.

## გამოსადეგი ცნობა

—

ხალიჩიდგან მელნის ლაქების ამოყვანა. ამ ლაქების ამოსაყვანად კარგი საშუალებაა რძე: თუ რომ მელანი ახალი დაჩნეულია, ჯერ უნდა გაასშრობის ქაღალდით ამოაშროთ, შემდეგ ლაქაზედ დაასხათ იმდენი რძე, რომ ლაქა დაჰფაროს და როდესაც რძემ მელნის ფერი მიიღოს, წმინდა ბამბით, რომელიც აფთიაქში იყიდება, აწმინდეთ; მერე ისევ რძე დაასხით და როცა გაშავდეს, ისევ წმინდა ბამბით აწმინდეთ. ეს გაიმეორეთ იქამდის, ვიდრე რძე სრულიად აღარა შავდებოდეს, მაშინ რძე ასწმინდეთ და რაც მელანი-ღა იყოს დარჩენილი, ისიც კარგად ამორეცხეთ საპნიანის წყლით და ნახშარის ტილოს ნაჭრით ამოაშრეთ. ეს საკმარისია, რომ ახლად დასხმული მელანი ამოიღოთ ხალიჩიდგან. თუ მელანი დიდიხნის დაჩნეულია, მაშინ, როცა რძე დაასხათ, დააცადეთ, რომ მელნიანი ადგილი დასველდეს და რძემ მელნის ფერი მიიღოს, შემდეგ კი ისევე მოიქეცით, როგორც ზემოდ არის ნათქვამი.

## დეპეშა

27 ოქტომბერი

**მოსკოვი.** დღეს მთავარანგელოზის ტაძარში მზადებას შეუდგნენ განსვენებულის ხელმწიფე იმპერატორის გვამის მისაღებად, რომელიც აქ იქნება დასვენებული. ტაძარი შავით იმოსება, შუაზე უნდა დაიდგას ბალდახინი, ბალიშზე იქნება დადებული საიმპერატორო გვირგვინი. კუბო დასვენებული იქნება სამგლოვიარო ცხედარზე. სამგლოვიარო კარტეჟში მონაწილეობას მიიღებს მთელი მოსკოვის სამღვდელოება, სამგლოვიაროთ შემოსილი ანთებულის სანთლებით, ხოლო ეკკლესიებში შეიქნება ხანგამოშვებითი ზარების რეკა. ნიკოლოზის ვოკზალი ემზადება ხელმწიფის გვამის დასახვედრად, მთელი ვოკზალი შავით შეიმოსება. დღე და ღამ მუშაობაა. ქალაქი თანდათან შავით იმოსება, განსაკუთრებით მძიმე შავებშია, ტვერის ბულვარი, კუზნეჩის ხიდი, და მიასნიცკის ქუჩა. ზოგიერთ სახლებს კედელი ერთიანად შავით არის აფენილი. ფანჯრებში გამოფენილია განსვენებულის ხელმწიფე იმპერატორის პორტრეტები და ქანდაკება ჩასმული ფოთლებსა და ვერცხლის გვირგვინებში სამგლოვიარო ლენტებით შავ ლეჩაქ ქვეშ. პროვინციიდგან მრავალი ვერცხლისა და ოქროს გვირგვინები შეუკვეთეს ოქრომჭედელთა.

**მოსკოვი** ოქროსა და ვერცხლის გვირგვინებს იმდენს თხოულობენ, რომ ოქრომჭედლებმა უარი განაცხადეს, ველარ მოვასწრებთო.

მოსკოვის მანდილოსანთა დეპეშაზე, რომელიც ხელ-მოწერილი იყო საპატიო ქალის ერმოლოვის ასულისაგან. შემდეგი პასუხი მოვიდა უმაღლესად სამძლოთ წოდებულისაგან: «გთხოვთ გადასცეთ მოსკოვის მანდილოსანთ ჩემი გულითადი მადლობა ერთის საგულისხმო გრძნობისათვის. სულიერი ერთობა რუსეთთან კურთხევა, რომელიც მე მივიღე ძვირფასის აწ ღვთის მიერ განსვენებულის ხელმწიფე იმპერატორისაგან და რწმუნება ვედრებისა რუსის ხალხისა გვაძლევს ჩვენ ღონეს ამ საშინელ განსაცდელის დღეთა შინა, რომელიც მოგვივლინა განგებამ.

**ხარკოვი.** მეორეს დღეს ხელმწიფე იმპერატორის გვამის გასვენების შემდეგ იქნება გამართული უმ-ღლესის ალაპი 7500 ღარიბთა და გლახაკთათვის. სადილად იქნება: შჩი პიროგი, კისელი, წანდილი, ლუდი და თაფლი. სადილის განმკარგულებლად გუბერნატორმა 14 კაცი დანიშნა.


## განცხადებანი

რადგან გამოკვლეულ იქმნა, რომ ვინც წრეულს ხოლერით ავად გახდა, უმრავლესობას მიზეზად მტკვრის წყალი გაუხდა, ქალაქის გამგეობა სთხოვს, მკვიდრთ მტკვრის წყალი არც სასმელად იხმარონ და არც სახლში სახმარად, მით უფრო, რომ მტკვრის წყალში ბაქტეროლოგიურის გამოკვლევით ექიმმა რეხტზამერმა ხოლერის ბაცილები აღმოაჩინა. (2—6.—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

გ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (857—1467)

კბილის ექიმი
**ვ. ი. ჭიჭინაძე**
(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი. (50—6.—20)

## ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა
თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი
**ფასი ერთი შაური**
ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . . | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |



# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . . | 5 „ 50 „ |
| 10 „ . . . . | 8 „ 75 „ | . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРIЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა-ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

## ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქციის ადრესი: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.